3. გაგანოვას მაგალითი აღანთებს ათასების გულს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 160 (11466) | კვირა, 12 ივლისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

შენთვის, შენი ბედნიერებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობავ!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის შეღავათების შესახებ

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის შეღავათების შესახებ. 1959-1960 სასწავლო წლიდან საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა (ფაკულტეტთა, განყოფილებათა) მოსწავლეებისათვის დაწესებულია დამატებითი შვებულება ხელფასის შენახვით.

ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის საღამოს უმაღლეს სასწავლებელთა პირველ და მეორე კურსებზე მოსწავლეებს ყოველწლიურად ეძლევათ შვებულება 20 კალენდარული დღე, საღამოს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 10 კალენდარული დღე და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 30 კალენდარული დღე.

ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის საღამოს უმაღლეს სასწავლებელთა მესამე და შემდგომ კურსებზე მოსწავლეებს ყოველწლიურად ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღე, საღამოს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 20 კალენდარული დღე, დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 40 კალენდარული დღე. საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეებს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების პერიოდში ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღე.

სადიპლომო პროექტის (ნაშრომის) მომზადებისა და დაცვის პერიოდში საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს ეძლევათ შვებულება 4 თვე და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 2 თვე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ ხელფასის რაოდენობა, რაც შვებულებათა დროს მოსწავლეებს ენახებათ, განისაზღვრება შვებულების წინ უკანასკნელი თორმეტი თვის მუშაობის დროის საშუალო თვიური ხელფასის ანგარიშით, მაგრამ არა უმეტეს 1.000 მანეთისა თვეში უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და არა უმეტეს 800 მანეთისა თვეში საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის.

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის 10 სასწავლო თვის პერიოდში სადიპლომო პროექტის (ნაშრომის) შესრულების დაწყების წინ ანდა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების წინ დაწესებულია ყოველ კვირაში სამუშაოსაგან თავისუფალი ერთი დღე მეცადინეობისათვის მოსამზადებლად და იგი უნაზღაურდებათ ხელფასის 50 პროცენტის რაოდენობით, მაგრამ არა უმცირეს მინიმალურისა. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნება დაერთოთ აღნიშნულ პერიოდში დამატებით, სტუდენტთა და მოსწავლეთა სურვილისამებრ, მისცენ კიდევ სამუშაოსაგან ერთი-ორი თავისუფალი დღე კვირაში ხელფასის შეუნარჩუნებლად.

დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს სასწავლებლის ადგილზე წასვლა და უკან დაბრუნება ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისა და ჩათვლების და გამოცდების ჩაბარებისათვის წელიწადში ერთხელ, აგრეთვე სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) მომზადებისა და დაცვისათვის ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისათვის აუნაზღაურდებათ მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით საწარმოთა და დაწესებულებათა ხარჯზე, მათი მუშაობის ადგილზე.

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შესაბამის სასწავლებელთა რეკომენდაციით შეუძლიათ საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა უკანასკნელ კურსებზე მოსწავლეებს მისცენ დამატებითი ერთი თვის შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად იმისათვის, რომ უშუალოდ წარმოებაში გაეცნონ მუშაობას არჩეულ სპეციალობაში და მოამზადონ შესაბამისი მასალები სადიპლომო პროექტისათვის. აღნიშნული შვებულების პერიოდში სტუდენტები სტიპენდიაზე ჩაერიცხებიან საერთო საფუძველზე.

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნება დაერთოთ მისცენ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დაშვებული არიან შესასვლელ გამოცდებზე, დამატებითი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად: საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ 15 კალენდარული დღე და საღამოს საშუალო და დაუსწრებელ სპეციალურ სასწავლებლებში შემსვლელთ — 10 კალენდარული დღე, სასწავლებლის ადგილზე წასვლის და უკან დაბრუნების დროის ჩაუთვლელად.

კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრებს, რომლებიც სწავლობენ საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მისცენ დამატებითი შვებულება, დაწესებულია შვებულების ანაზღაურების ოდენობა იმ შვებულების მიხედვით, რაც შემოღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილებით.

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის შეღავათების მინიჭება მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უფლებივ ზრუნვას ახალგაზრდობისათვის. იგი ხელს შეუწყობს დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებას, ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა ეთიოპიის იმპერატორთან

10 ივლისს კრემლში გაიმართა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა ეთიოპიის იმპერატორთან ჰაილე სელასიე პირველთან. საუბრის მსვლელობაში, რომელიც, როგორც წინათ, სრული ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაგრძელდა იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

ეთიოპიის მხრივ იმპერატორთან ერთად საუბარში მონაწილეობდნენ: პრემიერ-მინისტრის მოადგილე და პალმის მინისტრი ცაჰაფე პეზაზ აკლილოუ აბტეოლდი, შოას პროვინციის გუბერნატორის მოადგილე რას მესფინ სილეში, საიმპერატორო კარის მინისტრი ცაჰაფე ტეზაზ ტაფარა უორკ კიდანე უოლდი და სხვები.

მხარეებში აღნიშნეს, რომ გამართული საუბრები სასარგებლოა და რომ არსებობს სრული თანხმობა განხილულ საკითხებზე, მათ შორის სსრ კავშირსა და ეთიოპიას შორის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხზე. მოლაპარაკების შედეგების შესახებ გამოქვეყნდება ერთობლივი კომუნიკე.

ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე | მოსკოვში

10 ივლისს ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. იმპერატორმა ჰაილე სელასიე I და კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

საუზმის დროს გულთბილი მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მან მადლობა გადაუხადა იმპერატორს ეთიოპიაში საპასუხო ოფიციალური ვიზიტით მიწვევისათვის და განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ამ მიწვევაზე. (საკდესი).

საგჭოთა დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრა

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი, რომელმაც სხდომები შეწყვიტა დასავლეთის სახელმწიფოთა ინიციატივით, მუშაობას განაახლებს 13 ივლისს.

11 ივლისს ჟენევის თათბირზე გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

ა. ა. გრომიკოსთან ერთად ჟენევაში წავიდნენ დელეგაციის წევრები ვ. ა. ზორინი, ი. ა. მალიკი და მრჩევლები ი. ი. ილიჩოვი, მ. ა. ხარლამოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. მ. კრამარი, ს. ტ. ბაზაროვი, ი. ნ. ზემსკოვი, ვ. მ. ხვოსტოვი, ვ. ფ. გრუბიაკოვი, ა. გ. კოვალიოვი და სხვები. (საკდესი).

გმირები იბადებიან

ჩვენი სამშობლო მძლავრ აღმავლობას განიცდის. ჩვენი ქალა, ჩვენი გამარჯვებები ალაფრთოვანებს ჩვენს მეზობლებს და ხასიათს უცვლის ჩვენს მტრებს.

გამარჯვებები თავისთავად არ მოდის. გმირები იბადებიან ჩვეულებრივ ყოველდღიურ შრომაში, თავიანთ სამუშაო ადგილზე, ენერგიული, პატრიოტული შრომით. ვიშნი ვოლოჩიკის საფეიქრო კომბინატის კომკავშირელ ქალიშვილს ვალენტინა გაგანოვას არ უფიქრია, რომ მას გმირობას მიანიჭებდნენ. ვალენტინა გაგანოვა თავის უბანზე შრომობდა მთელი მოწდომებით, მთელი ენთუზიაზმით, ისე როგორც მას უკარნახებს პატრიოტის გული, საბჭოთა მოქალაქის გული.

ვალენტინა გაგანოვას გმირულ მაგალითს ბევრი მიბაძავი გამოუჩნდა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს სამშობლოში; ისინი სამუშაოდ მიდიან ჩამორჩენილებთან, რათა მოწინავის დონემდე აიყვანონ ისინი, რათა უზრუნველყონ წარმატება საწარმოს ყველა უბანზე, ყველა რგოლში, რათა მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა შეიტყეს, რომ გორის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირი ელენე გეგელაშვილი სამუშაოდ გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში. გეგელაშვილმა ჩვენი გაზეთის საშუალებით ფერილი გაუგზავნა ვალენტინა გაგანოვას. იგი ეპირობას დებს, რომ უზრუნველყოფს ჩამორჩენილი კოლექტივის წამოწევას მოწინავის დონემდე. ელენე გეგელაშვილს მხარში ამოუდგა იმავე საამქროს მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი დუშა ხაჩიძე. იწყებდა მ. გაგანოვას ძვირფასი თაოსნობის მიმდევართა რიგები.

თბილისის საწარმოებში

ერთსულოვანი გამოხმაურება პოულობს საქართველოს დედაქალაქის საწარმოებში ვიშნი ვოლოჩიკის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირის ვალენტინა გაგანოვას თაოსნობამ.

ქარხანა „ელექტროგამზომებში“ კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გ. პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვეტა დაეხმაროს ლ. მერკულოვას ჩამორჩენილ ბრიგადას. მათ გადაწყვეტილება შეასრულეს, მოაწყეს საწარმოო. მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას ლ. მერკულოვას ბრიგადაში.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მეინსტრუმენტეთა ბრიგადაში, რომელსაც ბერიძე ხელმძღვანელობს, ჩამორჩებოდნენ მუშები მიხაილოვი და ჩაიკა. დახმარებამ ტექნიკურ სწავლაში, კოლექტივის საზოგადოებრივი აზრის ძალამ თავისი საქმე გააკეთეს. წინათ ჩამორჩენილი მუშები მოწინავეებს დაეწივნენ.

გორელი ფეიქრები — შესანიშნავი თაოსნობის მიმდევრები

★ ★ ★ ქართველ ფეიქრებს

ჩვენი კომბინატის ფეიქრებმა სიხარულით შეიტყეს, რომ თაოსნობა გამოიჩინა ჩვენი კოლექტივის მოწინავე წევრმა ელენე გეგელაშვილმა. მან გაიმეორა ვიშნი ვოლოჩიკის სართავი კომბინატის ბრიგადირის ვალენტინა გაგანოვას თაოსნობა და მოწინავე ბრიგადიდან სამუშაოდ გადავიდა ჩამორჩენილ კოლექტივში.

ელენე გეგელაშვილი ჩემი მეგობარია. ჩვენ მრავალი წელია ვმუშაობთ სართავ საამქროში. მახსოვს საამქროში შრომის პირველი დღეებიც. წარმატებები ერთბაშად არ მოსულა. კარგ ფეიქრად გახდომა ადვილი როდია. დაოსტატებაში გვეხმარებოდნენ გამოცდილი ამხანაგები, ფეიქრებად გვზრდიდა მთელი კოლექტივი.

ელენესთან ერთად არაერთხელ განმეცდია შრომაში მოპოვებული გამარჯვების სიხარული. ჩემი ბრიგადა დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს. ჩვენ ენერგიული, მტკიცე, მეგობრული კოლექტივი გვაქვს. ერთად შრომობენ და წარმატებებს აღწევენ ქართველი, რუსი, უკრაინელი. ელენე კიპაროიძეს, ლენა დარჩიაშვილს, ნადია კირვიჩენკოს, ქეთევან ბახბახიშვილს, თამარ გერეშენკოს, ნინო ჩაეკინს, ჩვენი ბრიგადის თორმეტივე წევრს ვერ წარმოუდგენია უერთმანეთოდ მუშაობა. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ მხარში არ უდგნენ ერთმანეთს, არ უწვდიდნენ მეგობრული დახმარების ხელს.

ძალიან მივეჩვიე ჩვენი ბრიგადის კოლექტივს. ისინი ჩემთვის ახლობელი, ძვირფასი ადამიანები არიან, რომლებთანაც სიძნელეები ვერ გაშინებს.

ყოველივე ამაზე დიდი ხანია ვფიქრობ. ხშირად გვისაუბრია მე და ელენე გეგელაშვილს. მისთვისაც ძნელი იყო მოწინავე კოლექტივიდან, თავის ბრიგადიდან წასვლა. მაგრამ ჩვენთვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ათასობით ადამიანისათვის, მისაბაძი გახდა ვალენტინა გაგანოვას გმირული თაოსნობა. მართლაც, არ შეიძლება დასჯერდე იმას, რომ შენ წარმატებით მუშაობ, რომ ბრიგადას, რომელსაც ხელმძღვანელობ, მოწინავეთა შორის იხსენიებენ, რომ კარგია შენი და შენი ბრიგადის გამომუშავება.

საკუთარი წარმატებით გამოწვეული სიხარული გინახევრდება, როცა შენს გვერდით მუშაობს ამხანაგი, რომელიც ჩამორჩება, როცა საამქროში მოწინავეთა გვერდით არიან ჩამორჩენილები. არ შეიძლება შევურიგდეთ ამას. თვითეულს ვალია დაეხმაროს ჩამორჩენილს და წამოსწიოს იგი მოწინავის დონემდე, რომ მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

ამ კეთილშობილური მიზნით გადავიდა ვალენტინა გაგანოვა მოწინავედან ჩამორჩენილ ბრიგადაში. ამ კეთილშობილური მიზნით მიაშურა ელენე გეგელაშვილმა ჩამორჩენილ კოლექტივს. და მეც აღარ შემიძლია არ ვიმოქმედო. გადავწყვიტე სამუშაოდ გადავიდე პირველი უბნის № 4 ბრიგადაში. ამ ბრიგადამ ივნისში დავალება 98,1 პროცენტით შეასრულა და საწარმოს 700 კილოგრამი ნართი, ე. ი. დაახლოებით 7.000 მეტრი ხამი ქსოვილი დააკლო. ამ ბრიგადის წარუმატებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბრიგადის წევრებს აკლიათ საწარმოო დაოსტატება, აკლიათ ფეიქრის ხელოვნება, რის შეძენაც მრავალი წლის ენერგიული შრომით ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ შრომის უკეთ ორგანიზაციით, ახალგაზრდა ფეიქრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვით შევძლებთ ბრიგადა მალე ჩავაყენოთ მოწინავეთა რიგებში.

დ. ხაჩიძე

* * *

ჩემს გადაწყვეტილებას — მივბაძო ვალენტინა გაგანოვას და ჩემი მეგობრის ელენე გეგელაშვილის მაგალითს — ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ, დირექციამ, ჩემმა ამხანაგებმა და მეგობრებმა. მე ეს კიდევ უფრო აღმაფრთოვანებს.

მე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი ვარ. კანდიდატად მიმიღეს მშობლიური პარტიის XXI ყრილობის შეხვედრისათვის მზადების პერიოდში. ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე ღირსსახსოვარი დღიდან ყოველთვის ვცდილობდი მუშაობა მთელი ჩემი ენერგიით, არ დამეზოგა ჩემი ახალგაზრდული ძალა და ფეიქრის ცოდნა, რათა გამემართლებინა ჩემი კომუნისტი ამხანაგების ნდობა, პარტიული ორგანიზაციის ნდობა.

ამხანაგო ფეიქრებო, მივბაძოთ ვალენტინა გაგანოვას და ელენე გეგელაშვილის მაგალითს, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. შვიდწლედის ვადამდე შესრულებაში.

დ. ხაჩიძე,

გორის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირი.

140.000 ცალი ჩანაფენი!

ი ცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

მახარაძე. მარგალიტა მახარაძე მუშაობს გაღმა დვაბზუს კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლ, ნაცვლად 25 კილოგრამისა. სულ მოკრეფილი აქვს 5,5 ტონა ჩაი. **საშა ჭურიძემ** სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩოხატაური. ეთერ ჯიბუტმა სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობაში მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი, დღიურ ნორმას 45 კილოგრამით გადაამეტა.

ცხაკაია. ტატიანა ტყებუჩავამ სოფელ ზანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მას დღემდე მოკრეფილი აქვს 9 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

დაუშრეტელი წყარო

ჩვენი წინსვლის, ჩვენი შენების ამოცანები იმდენად გრანდიოზულია, რომ მარტო ერთეულების თავდადებული შრომა ამინდს ვერ შექმნის. შვიდწლიანი პროგრამის ვადამდე და სრულად განხორციელებისათვის აუცილებელია ყოველი მუშაკი გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი მუშაობისათვის, რომ არ გვყავდეს ჩამორჩენილები და მივაღწიოთ საერთო წარმატებას.

ეს კარგად აქვს შეგნებული თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივს, რომელიც მხურვალედ უჭერს მხარს ვიშნი ვოლოჩიკის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის მოწინავე მრთველს ვ. გაგანოვას ინიციატივას.

— მოწინავე ბრიგადიდან ჩამორჩენილ კოლექტივში გადასვლა, — თქვა სართავი საამქროს მოწინავე კომპლექტის ხელმძღვანელმა მაყვალა სარიძემ, — ბრიგადირისათვის პირადად არ არის სასარგებლო, გარკვეულ პერიოდში, ვიდრე ბრიგადა ჩამორჩენას დაძლევდეს, იგი ნაკლებ ხელფასს იღებს. მაგრამ ეს მეტად სასარგებლოა საზოგადოების, ხალხის ინტერესებისათვის. ვ. გაგანოვას მაგალითი ნათლად მოწმობს რიგითი მშრომელების ერთგულებას კომუნისტური იდეალებისადმი.

კომბინატის მრავალმა მოწინავე მუშამ საწარმოს ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით გადაიყვანონ სამუშაოდ ჩამორჩენილ კომპლექტებში, ბრიგადებში.

— ჩემი კომპლექტი, — განაცხადა ს. პაპინაშვილმა, — წარმატებით ასრულებს გეგმიან დავალებებს, მაგრამ საამქროში ბევრი კომპლექტი ვერ უსწორებს მხარს მოწინავეებს. ჩვენი ვალია ცოდნის, გამოცდილების გაზიარებით, შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენებით დავეხმაროთ მათ ჩამორჩენის დაძლევაში.

კომბინატის მოწინავე მუშებს ჩამორჩენილთა დაწინაურება სისტემატიურად საქმედ მიაჩნიათ, რადგან ამაში ხედავენ პროდუქციის გამოშვების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების დაუშრეტელ წყაროს.

ლილაადრიანად გამოდიან ჩაის პლანტაციებში ფოთლის საკრეფად ხობის რაიონის სოფელ ახალი ხობის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.
ფოტო ბ. ლუცენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

„დედის სიხარული“ — მხატვარი ციალა კანდელაკი (რეპროდუქცია).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომები.

სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სავაჭრო ფასდაკლება და საბითუმო და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესება.
2. ყურძნის შესასყიდი ფასების დონე მოკავშირე რესპუბლიკებში.
3. შორეული ჩრდილოეთის ეროვნებათა მეურნეობისა და კულტურის მდგომარეობა.

კომისიამ ყველა განხილულ საკითხზე სათანადო გადაწყვეტილება მიიღო.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ კომისიის წევრები, რომლებიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკას წარმოადგენენ. (საკდესი).

არა, ასე არ შეიძლება
პურეულის აღება

რარიგ გახარებული არიან ახლა დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები! 850 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები უთესიათ. მზრუნველობით მოუარეს, თავის დროზე გამარგლეს და მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე 7 ცენტნერით მეტ მოსავალს იღებენ.

— მარტო ჩვენი მარჯვენით, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხიდაშელი, — ვერაფერს გავხდებოდით. მძლავრი ტექნიკის კოლმეურნეობათა საკუთრებად გახდომამ დიდად შეუწყო ხელი პურეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

კოლმეურნეობაში ისეა მოწყობილი შრომა, რომ ერთი წუთი რა არის, იმასაც უსაქმოდ არ ჰკარგავენ. უკანასკნელი ღვარეული გადატანა და ფართობს მოადგა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინი, რომელსაც ო. ფრუიძე მართავს. ერთ შემოვლაზე ბუნკერი მარცვლით აივსო, მანქანების მძღოლები ს. კიკაშვილი და ა. ყურაშვილი ერთიმეორეს ეცილებიან კომბაინის ბუნკერიდან მანქანის გაუჩერებლად მარცვლის დაცლაში და საველე კალოებზე გადაზიდვაში. აქ კარგად მოუწყვიათ საველე კალო. კოლმეურნეები ე. მამარდაშვილი, ნ. ბერძენაძე, ნ. კიკოლიაშვილი სასახელოდ მუშაობენ მარცვლის გაწმენდის საქმეში.

მოსავალს შეუფერხებლად იღებენ აგრეთვე კომბაინერები ი. მაკიევი და ბ. დობროვოლსკი. თვითეული მათგანი ყოველდღიურად კის 18-20 ჰექტარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. მინდვრად მომუშავეთათვის კოლმეურნეობას სასადილო მოუწყვია. მზარეული ო. ოგანეზოვი კოლმეურნეებს, მექანიზატორებს მინდვრად უმზადებს ცხელ საჭმელს.

ოქროსფრად ლივლივებს სოფელ სარაჩლოს კოლმეურნეობის ველი. მათ რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს ქერის მკა. ახლა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინები მექანიზატორებს ა. მეხრამზადეს და ვ. მამედოვს პურის ნათესებში მოუყვანიათ და სიგნალს ელოდებიან. სულ მალე მინდვრის ხომალდები დაიწყებენ ხორბლის აღებას.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დღეებში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობაში კომბაინერი ნ. მამედოვი პურს 30-40 სანტიმეტრის სიმაღლეზე მკიდა, ამის გამო დანაკარგები დიდი იყო. ერთ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 20-30 ცალი თავთავი აუღებელი და გაულეწავი რჩებოდა.

კოლმეურნეობაში ცუდად მოუწყვიათ გალეწილი მარცვლის გადაზიდვა. ტომრების უქონლობის გამო კალოდან გალეწილ პურს პირდაპირ ყრიდნენ ავტომანქანაში. მანქანა ალაგ-ალაგ ჩამტვერეული იყო და მარცვალი გზაში იბნეოდა.

ადგილზე ვნახეთ, რომ მეექვსე ბრიგადის აღებული ნაკვეთის ყოველ კვადრატულ მეტრზე 4 თავთავი იყო დატოვებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ ჰექტარზე დაკარგოთ 2 ფუთამდე პური. სამწუხაროა ის არის, რომ ასეთი ნაკვეთი კარგად აღებულ ნაკვეთად ჩაუთვლიათ. ბრიგადირს მ. მამედოვს ეს დანაკარგი ნორმალურად მიაჩნია.

სოფელ ქვემო ქოშაქილისის მე-19 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერი ჯ. ალიევი ქერს ისე მკიდა, რომ 50 პროცენტი აუღებელი რჩებოდა. ყველაფერი ეს კოლმეურნეობის აგრონომის ზ. ყულიევის თვალწინ ხდებოდა, მაგრამ იგი ამ ფაქტს გულდამშვიდებით შესცქეროდა.

წელს საერთოდ ბოლნისის რაიონში შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე 7 ცენტნერით მეტ ხორბალს იღებენ. უხვი მოსავლით აღფრთოვანებული არიან სარემონტო-ტექნიკური სადგურის მუშაკებიც. სადგურის პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. გოგებაშვილმა და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. მამედოვმა სურვილი გამოთქვეს პურეულის მასობრივი მკის დროს კომბაინერებად იმუშაონ. ეს კარგი ინიციატივაა. სარემონტო-ტექნიკური სადგურის მუშაკებმა მინდვრად მომუშავე კომბაინების შეუფერხებლად მუშაობის მიზნით გამოჰყავს სამი ბრიგადა (ხელმძღვანელები ფ. აბასოვი, გ. ჭანკოტაძე, გ. ჯალაღანია), რომლებსაც აქვთ სათადარიგო ნაწილები და მინდვრაზე აწარმოებენ დაზიანებული მანქანების რემონტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში რაიონს დიდად უშლის ხელს ავტომანქანების საბურავების უქონლობა. მარტო ფახრალოს კოლმეურნეობაში 16 ავტომანქანიდან საბურავების უქონლობის გამო 12 მანქანა უქმად დგას. ასეთი თექვსმეტი სხვა კოლმეურნეობებშიც არის. მარცვლის გადასაზიდი ტომრები აკლიათ. რაიონში საჭირო სულ მცირე 5 ათასი ტომარა. ციკავშირის გამგეობა უნდა დაეხმაროს ამ საქმის მოგვარებაში რაიონის კოლმეურნეობებს.

ბოლნისში ყანები სულ მალე მასობრივად შემოვა სამკილად. სისწრაფე და ორგანიზებულობა წყვეტს მოსავლის უდანაკარგოდ აღების ბედს. ეს აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ.

ა. სეხნიაშვილი,
რაიონული გაზეთის რედაქტორი,
შ. ჯოჯუა,
ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

დედის გული

პარის ერთი პატარა ხიტყვა, რომლითაც იწყება ადამიანი სიცოცხლეს და რომლითაც ამთავრებს. იგი სულ პირველად გაუბედავად ამოფრინდება ხოლმე ჩვილის შეთრთოლებული ბაგიდან და უკანასკნელი სიტყვაც ის არის მომაკვდავისა. ვახსენებთ დედას, და... რამდენიმე შესანიშნავი დედის სახე გაიელვებს თვალწინ, — აგერ, დედათა სამყაროს მშვენება — მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვა, შრომისმოყვარე, სამართლიანი, მგრძნობიერი, შვილებს დარდით გულდამწვარი, მაგრამ მწუხარების წინაშე ქედმოუხრელი და მეტად ძლიერი ნებისყოფის პატრონი.

ლენინსაც ძლიერ უყვარდა დედა. 1917 წელს, როცა იგი საზღვარგარეთიდან რუსეთში დაბრუნდა, რევოლუციის ამ ქარცეცლში, 4 აპრილს, ღილით მან მაზარეხა და რამდენიმე წუთით ინახულა მის დაუსწრებლად დაკრძალული დედის საფლავი. რევოლუციის მგზნებარე ბელადის, შეუპოვარი მთის არწივის თვალებში ცრემლი აკიაფდა. ცრემლი იმ თვალებში, საიდანაც მხოლოდ ციცხლი და ნაპერწკლები სცვიოდა. ორიოდე საათის შემდეგ კი, თავრიდის საათლიში, იგი ბოლშევიკების კრებაზე გამოდის მოხსენებით — „რომისა და რევოლუციის“ შესახებ. ამავე დღეს ბოლშევიკების და მენშევიკების გაერთიანებული კომიტეტის სხდომის კრებაზე კითხულობს განთქმულ აპრილის თეზისებს, საღამოზე პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის სხდომაზე გამოდის მოხსენებით, გვიან ღამით კი გაზეთ „პრავდას“ რედაქციაში ატარებს თათბირს. როგორ მაგრად ხვდება გულს ეს ლენინური სიტყვა დედისადმი.

ლიტერატურაში ღრმად არის აღბეჭდილი გმირკე და მშრომელი დედის სახე. რევოლუციის მძვინვარე წლებში, როცა მთელი ხალხი გაიფთრებით იბრძოდა თვითმყოფლობის წინააღმდეგ, რამდენიმე შესანიშნავი დედის სახელი დაიწერა სამუდამოდ ისტორიის ფურცლებზე. ვინ იცის რამდენმა დედამ შვილებთან ერთად ჩაჰყარა თავისი ძალები შორეულ ციმბირის მიწაში.

— აგერ, შვილის ნათელ გზაზე დამდგარი, მაქსიმ გორკის უკვდავი ნაწარმოების „დედის“ მთავარი გმირი — პელაგია ნილოვნა. პროკლამაციებით უბეგამოტენილი. მეფის ჟანდარმების წინააღმდეგ მუშტმოღერებული, სად არა ვხედავთ მას, ქარხანაში, სტამბაში, ვაგზალში... და ყველგან, ყველგან შვილების მართალ საქმეს ემსახურება.

შესანიშნავად აქვს აღწერილი ალექსანდრე ფადეევს „ახალგაზრდა გვარდიაში“ საბჭოთა კავშირის გმირის სერიოჟა ტიულენინის დედის ხელები, ვის შეუძლია გულგრილად გადაკითხოს იგი. რამდენი მშრომელი დედის დაღარული ხელები გაიელვებს თქვენს თვალწინ. ასეთივე ხელები არ ჰქონდა ცნობილ ქართველ რევოლუციონერ ქალს, ნატალია ლილაშვილს, ათი შვილი რომ აღუზარდა სამშობლოს და აქედან ხუთი რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლი?..

ხალხური თეატრი გათუმში

გათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ ხალხური შემოქმედების აჭარის საოლქო სახლში გაიმართა სპეციალური კრება ბათუმში ხალხური თეატრის შექმნასთან დაკავშირებით. კრებას დაესწრნენ სცენის მოყვარენი, ხალხური შემოქმედების საოლქო სახლთან არსებული რუსული დრამატული სტუდიის წევრები, საწარმოდაწესებულებათა თვითმოქმედი მხატვრული წრეების მონაწილენი.

კრებაზე არჩეულ იქნა თეატრის სამხატვრო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი ბ. კუნჭულია. თეატრის მთავარი რეჟისორია ა. მახარაძე.

ხალხური თეატრი უკვე შეუდგა მუშაობას. ამას წინათ თეატრის კოლექტივთან ჭაკოთხულ და გარჩეულ იქნა ვ. სოლოგუბის პიესა „სახიფათო ხელობა“.

სინათლე—სიბნელეში!

ათეისტური პროპაგანდის არსებითი საკითხები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ პარტიული, პროფკავშირული, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ცენტრალურ ამოცანებად დასახა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევის ამოცანები.

ძველი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე გამძლე გადმონაშთია რელიგიური რწმენა და მასთან დაკავშირებული ცრურწმენები და ცრუმორწმუნეობა. ამ გადმონაშთის დაძლევა, ყველა მშრომელთა აღზრდა მატერიალისტური მსოფლმხედველობის სულიერებითებით მთელი მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

რელიგიას, როგორც ცნობილია, ღრმა სოციალური ფესვები აქვს. მათგან მთავარია კლასობრივი ჩაგვრა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, წარმოების ანარქია, მასების სიღატაკე და უმეცრება. სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიის ეს მთავარი ფესვი ამოგლეჯილია, მოსპობილია. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში შემთხვევითი როდია მშრომელთა მასობრივი ჩამოშორება რელიგიისაგან, მათ მიერ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მასების ჩამოშორება რელიგიისაგან ყოველთვის და ყველგან როდი ხდება მშვიდად და წყნარად. მთელ რიგ შემთხვევებში ზოგიერთ ადამიანს ემჩნევა რელიგიურობის დროებითი გაძლიერება, მისი რეციდივები. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც თითქოს უკვე გახდა ურწმუნო, უციებ ავლა იწყებს ეკლესიაში სიარულს და რელიგიური წესების შესრულებას; იქ სადაც სექტანტები არ ყოფილან, უცებ ჩნდება მათი საზოგადოებები და ა. შ.

რით აიხსნება ასეთი მოვლენები?

რელიგიას ახასიათებს უკიდურესი კონსერვატიულობა, მას ათას წლობით ნარგაზიდნენ ადამიანთა შეგნებაში. ამიტომ რელიგიისაგან ჩამოშორებაც ხანგრძლივი და წინააღმდეგობების შემცველი პროცესია. ბორწმუნე ხშირად უკვე იწყებს ნადგილად მერყეობას და ათეისტი ხდება, მაგრამ იგი უეცრად ხდება რაღაც სიძნელეებსა და წარუმატებლობას თავის ცხოვრების გზაზე და ავლა იწყებს რელიგიისაკენ გადახრას, „ხეგეშს“ ეძებს მასში.

რელიგია ბორწმუნეთა ყურადღებას აშორებს იმ ამოცანებისაგან, რომლებსაც ხალხი წყვეტს, ფიქრი ფანტაზიების სამყაროში გადაჰყავს მათი გონება, რელიგია ადამიანებს ასწავლის განერიდონ სიბნელეებს, ეჩვევს პასიურობას.

შეიძლებათ თქვან: მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მორწმუნე ადამიანები ხომ ხშირად აქტიურად მუშაობენ კოლმეურნეობებში, საწარმოებში. — რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში მორწმუნე მშრომელები ურწმუნოთა მტრები კი არა, მეგობრები არიან. მორწმუნენი და ურწმუნონი ერთიანებულნი ღონისძიებებით აშენებენ კომუნიზმს. „ჩვენ არა მარტო შემწყნარებლობით, არამედ პატივისცემითაც ვეკიდებით ადამიანებს, რომლებიც მორწმუნენი არიან“, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მორწმუნენი და ურწმუნონი ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურად ერთსა და იმავე საბჭოთა პლატფორმაზე დგანან.

რაც შეეხება მსოფლმხედველობის საკითხებს, იდეოლოგიის საკითხებს, მორწმუნეებსა და ურწმუნოებს აქ სხვადასხვა, პირდაპირ საწინააღმდეგო პოზიციები უჭირავთ. მორწმუნენი იმ აზრს ადგანან, რომ ყველა დასაბამის დასაბამია „ღმერთი“, სულიერი არსება, რომ სწორედ იგი განაგებს ადამიანის ბედს და ამიტომ უნდა ელოცულობდეთ, ეთაყვანებოდეთ მას, ვასრულებდეთ მის ანდერძს. ურწმუნონი პირიქით, ამტკიცებენ, რომ ქვეყნად არ არსებობს არავითარი უზენაესი არსება, რომ ადამიანი თვითონ არის საკუთარი თავის პატრონი, რომ სამყაროდ ოდითვე არსებული მატერია, რომელიც ვითარდება თავისი, მისთვის დამახასიათებელი კანონებით.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში მორწმუნეებს შორის ახლა ალბათ ცოტაა ისეთები, რომლებიც საეკლესიო სცენობდნენ ქრისტიანობის ყველა დოგმატს, ხალას სინამდვილად მიაჩნდეთ ყოველივე ის, რაც ბიბლიასა და სახარებებში წერია, იქცეოდნენ რელიგიის მითითებათა თანახმად. ასეთი ადამიანები თავიანთ პრაქტიკულ ყოველდღიურ საქმიანობაში ეკლესიისა და რელიგიის დებულებებით რომ ხელმძღვანელობდნენ, მათი ქცევა საღ გონებას მოკლებული ადამიანების ქცევას ეგრო ემგვანებოდა. მაგალითად, ამას წინათ ერთმა რელიგიურმა ფანატიკოსმა ქალაქ ალექსინში დაახრჩო თავისი ბავში, და ეს იმით ახსნა, რომ გადაწყვიტა ღვთისათვის შეეწირა იგი მსხვერპლად, მსგავსად იმისა, როგორც ამის გაკეთება უნდოდა, ბიბლიის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, პატრიარქ აბრაამს თავისი შვილი ისაკის მიმართ, ბუნებრივია, რომ ამ ურჯულოებმა საქციელმა გამოიწვია არა მარტო ურწმუნოთა, არამედ აგრეთვე მორწმუნეთა აღშფოთება და სასამართლოს მიერ სპეციალური განხილვის საგანი გახდა.

თანამედროვე პირობებში მორწმუნენი ისინი აღარ არიან, რაც წინათ იყვნენ. სოციალიზმის ეპოქამ, მეცნიერულმა და ტექნიკურმა პროგრესმა ბიბლიდან დაასაბამთს აზროვნებასა და ქცევას. ძალიან ბევრი მორწმუნე მიუხედავად თავისი რელიგიურობისა, კითხულობს გაზეთებს, დადის თეატრებში, სწავლობს მეცნიერებებს, ავადმყოფობის შემთხვევებში მიმართავს ექიმებს.

ცხოვრება რელიგიაზე ძლიერია. ფანატიკური გამონაგონი უკან იხევს, ხოლო მეცნიერება ახალ და ახალ დარგებს იპყრობს.

ათეისტური პროპაგანდა მოწოდებულია ხელი შეუწყოს რელიგიური იდეოლოგიის მსხვრევის პროცესის დაჩქარებას.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ეწეოდეს აღმზრდელობითს მუშაობას მასებში, ჯეროვნად არ აფასებს ადამიანთა შეგნებაში რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის საარსებო მნიშვნელობას. მთელ რიგ შემთხვევებში ეს ორგანიზაციები მარგალებლურად იკიდებიან სხვადასხვა ცრურწმენისა და ცრუმორწმუნეობის გავრცელებას, რომლებიც სულიერად ამახინჯებენ და აკნინებენ საბჭოთა ადამიანებს.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისადმი ასეთი დამოკიდებულება ძირეულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პროგრამას. ჩვენს პარტიას მუდამ საჭიროდ მიაჩნდა და მიაჩნია ყველა საშუალებით შეუწყოს ხელი მეცნიერების განვითარებას და ებრძოლოს იმათ, ვინც ეფერებს სოციალურ, მეცნიერულ და ტექნიკურ პროგრესს. პარტია მუდამ ხრდიდა და ზრდის საბჭოთა ადამიანებს მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით, ეწვევა იდეურ ბრძოლას რელიგიურ იდეოლოგიასთან, როგორც ანტიმეცნიერულ და რეაქციულ იდეოლოგიასთან. პარტია მოითხოვს, რომ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდას საფუძვლად დაედოს პოპულარული განმარტება ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა, ისეთი საკითხებისა, როგორიც არის სამყაროს აგებულება, დედამიწაზე სიცოცხლის და ადამიანის წარმოშობა, განმარტება ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა მეცნიერებათა დარგის მიღწევებისა, რომლებიც ადასტურებენ ბუნებაზა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტურ შეხედულებათა სისწორეს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში რელიგიასთან ბრძოლის საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინეთ. გასაგებია, რომ ამ გამოცდილებიდან ახლა ყველაფრის გამოყენება როდი შეიძლება. ახლანდელ ვითარებაში შეიცვალა ეკლესიის პოლიტიკური პლატფორმაც და თვით მორწმუნეთა იდეოლოგიაც. ანტირელიგიური პროპაგანდა ახლა აყვანილ უნდა იქნას ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალ „ნაუკა ი რელიგიას“, რომელსაც 1959 წლის სექტემბრიდან გამოსცემს პოლიტიკური და მეცნიერულ-ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოება. ჟურნალი მოწოდებულია გადაწყვიტოს სერიოზული ამოცანები: ერთი მხრივ, ცოდნით, მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის მეთოდებითა და გამოცდილებით აღჭურვოს ჩვენი პროპაგანდისტი-ლექტორები, მომხსენებლები, აგიტატორები, ხელი შეუწყოს ამით ათეისტური კადრების გაფართოებას მათს რიგებში საბჭოთა ინტელიგენციის ახალი ფენების — მეცნიერი მუშაკების, მასწავლებლების, ექიმების, აგრონომების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და სხვ. მიზიდვით. მეორე მხრივ, ზეგავლენა მოახდინოს უშუალოდ მასობრივ მკითხველებზე, განსაკუთრებით მორწმუნეებზე, მისცეს მათ სულ სხვადასხვა მასალა, მიუდგეს მათ, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, „ასეც და ისეც“, რათა დაარწმუნოს ისინი მეცნიერების არგუმენტებით და დაეხმაროს მათ ათეისტებად გადდომაში.

ფ. ოლეშჩუკი,
ჟურნალ „ნაუკა ი რელიგიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

„რეზინის რესორები“

ფოლადის რესორები ან ზამბარები ავტომანქანის აუცილებელი დეტალებია. მაგრამ სალტის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ავტომობილის საკიდრისათვის შეიმუშავეს სხვა ტიპის — რეზინ-პნევმატიური დრეკადი ელემენტები. ავტომობილის ძარა ამ დროს ეყრდნობა ღერძს, რეზინ-კორდული ბალონებით, რომლებიც სავსეა შეკუმშული ჰაერით.

ახალი საკიდრის სქემის გაცნობა შეიძლება ქიმიური მრეწველობის პავილიონში. აქ წარმოდგენილია თვით ბალონებიც, თითოეული მათგანი თითქოს არის ავტომობილის ორი სალტე 25-30 სანტიმეტრი დიამეტრიანი, რომლებიც ერთიმეორეზე დგეს. მუშაობის დროს ჰაერის წნევა ბალონში 4-6 ატმოსფეროა.

სპეციალური რეგულატორი დატვირთვის მიხედვით ავტომატურად ცვლის ჰაერის წნევას პნევმატურ ბალონებში, რაც უზრუნველყოფს ძარის მუდმივ მდგომარეობას, სვლის კომფორტულობა ამის მეოხებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ორი ბალონი ცვლის ერთ რესორს. მაგრამ პნევმატური ბალონები იმუშავებს სულ ცოტა ხუთჯერ მეტ ხანს, ვიდრე ფოლადის რესორები. გარდა ამისა, მატუნლობს ავტომანქანის ძარისა და დეტალების გაძლიერება.

ახლა ახალ საკიდარს ყოველმხრივ სცდიან ავტომობილებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რეზინ-კორდული ბალონები შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

არაჩვეულებრივი თბომავალი

რუხფერად შეღებილი მესაჭის მინაჩასმული თეთრკაბინიანი ეს სატვირთო თბომავალი ინტერესს არ გამოიწვევდა, რომ არ ჰქონოდა წარწერა: „გაკეთებულია პლასტმასისაგან“.

იგი დგას მოედანზე ტრანსპორტის პავილიონის პირდაპირ. მისი სიგრძეა 16 მეტრი, ტვირთმზიდაობა — 15 ტონა. სვლის გამოცდის დროს თბომავალმა განავითარა საათში 15 კილომეტრამდე სიჩქარე. გამოფენის მნახველები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ გვიმ კარგად არის გაკეთებული. იგი მდინარეებსა და ტბებში ყოველთვის შეიძლება გამოვიყენოთ.

თბომავალი კორპუსი და დანაშენები პლასტმასისაგან გაკეთებულია და იწონის სამ ტონას, ყოველივე ეს ხისაგან რომ გაკეთებულიყო, წონა გადიდდებოდა 4,2 ტონამდე, ხოლო ფოლადისაგან რომ გაეკეთებინათ, თითქმის 8 ტონამდე.



სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. ქიმიური მრეწველობის პავილიონში. სატურატორის ნაწილი, რომელიც დამზადებულია „ა“ მარკის ფოლიტისაგან. სატურატორს კოქს-ქიმიურ მრეწველობაში იყენებენ ამიაკისა და გოგირდმჟავას ნარჩენების დასაჭერად. სატურატორის ეს ნაწილი, რომელსაც წინათ ტყვიისაგან აკეთებდნენ, 6.000 კილოგრამს იწონიდა. ფეოლიტისაგან გაკეთებული კი იგი სულ 700 კილოგრამს იწონის.
ფოტო ნ. რახმანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მზეზე აღრე დასანახი

მუშენიერი დასანახია გარეკახეთის მთები და მინდვრები. ჩრდილოეთით ამაყად აღმართულა ციგვომბორის მთები, ხოლო სამხრეთით იისფერ ნისლში გახვეულა გარეკის ზეგანი, შუაში — ივრის ორივე მხარეს გადაჭიმულა პურისა და სიმინდის ნათესები, აყრილი ბაღები და ვენახები.

მე და ერთი ჩემი მეგობარი პატარძეულს ზემოთ ვიდექით, გადასახედზე. ერობაშად კოკისპირულმა დაუშვა და იძულებული გავხდით ერთ-ეოთ სადალაქოში შეგვეფარებინა თავი, მასპინძელი (გვეპატიოს გულახდილობა) ისეთივე მოლაპარაკე აღმოჩნდა, როგორც ყველა დალაქი ამ ქვეყანაზე.

— ყაჩაღები არიან, ყაჩაღები, — ყვიროდა მასპინძელი. ჩვენ არ ვიცოდით, რა ყაჩაღებზე იყო ლაპარაკი.

— აქაურ ღრუბლებზე ვლაპარაკობ, კაცო, აი ციგვომბორს იქით არიან ხოლმე ყაჩაღებიეთ ჩასაფრებულნი, ხედავ მშვენიერი ამინდია, ზეცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არ არის, გლეხკაცს გული ხარობს, ღმერთმა დაგვიფარა და სეტყვა აღარ იქნებაო, სწორედ ასეთ სიწყნარეში ერთბაშად დაუბერავს, ამ შავ ღრუბლებს გომბორიდან გადმოყრის, ზოგან კოკისპირულს დაუშვებს, ზოგან სეტყვას დააყრის და არ დამეჯერონ, სწრაფად გადაინაცვლებს გარეჯისა�... ყაჩაღობაა, მა რა არი?

გარეკახური ამბები გამოვკითხეთ მასპინძელს.

რუსთაველის თეატრის გასტროლებზე გვიამბო, მერე რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებზე. რაიონში სახელგანძვრული მეევნახეების, მესიმინდეების, მწველავებისა და მეცხვარეების ამბებიც გაიხსენა...

ჩვენი მასპინძელი მოსაწყენი კაცი როდი იყო. პირიქით მას ვუმადლით, საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოში“ ერთი შესანიშნავი ოჯახი რომ გავიცანით. ეს იყო იმავე დღეს, რადგან წვიმა დიდხანს გაგრძელდა, მინდვრად გასულ კოლმეურნეებს მუშაობის საშუალება არ მიეცათ და ბევრი მათგანი იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

გიორგი ქაიხოსროშვილს, რომელსაც ზედმეტ სახელად გრუზას ეძახიან, მანავისაკენ მიმავალ გზაზე შეეხვედრო, თავიდანვე მოგვეწონა. იგი ნამდვილი ქართული სახით, ორბისებური ცხვირით, სათუთად მოვლილი ულვაშებით და კოხტად დავარცხნილი ქოჩრით, რომელზეც ლაზათიანად ეხურა თუშური ქუდი. მაშინ მივხვდით, რატომ ეძახიან მას გრუზას, ალბათ გრუზა, ხუჭუჭა თმისათვის.

ბევრი ვიუარეთ, მაგრამ გრუზამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა, აუცილებლად უნდა მიწვიოთო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორსართულიანი სახლის აივანზე ვისხედით. ჯარასავით დატრიალდნენ დისასხლისი, სანდომიანი სახის დეიდა მარო და მისი ქალიშვილები. იქვე ბაღში ალისფერად ჩუკოოდა ბროწეული, ამაყად იდგა სამწიფეში შესული ბალი. ყველაფერს გამრჯე ადამიანების ხელი ეტყობოდა.

სოფლის საამაყო ადამიანები არიან გიორგი ქაიხოსროშვილის ოჯახის წევრები.

თეთონ გიორგი იყო ოც წელიწადზე მეტ ხანს კოლმეურნეობაში მემანდერეობის ბრიგადას რომ ხელმძღვანელობდა. შრომაში დაუღალავი, ყველასათვის ჭირსა და ლხინში თანაზიარი, სიმართლის მოყვარე და შეუპოვარი. გიორგი ნამდვილად ამართლებს კოშენსტის მაღალ წოდებას. მაგრამ წლებს თავისი გაეაქვს. ამიტომ იყო, ამას წინათ გიორგის უფრო იოლი საქმე, კოლმეურნეობის მეხანძრეობა რომ დაავალეს. მეხანძრე ჰქვია, თორემ ყანებში ყოველდღე სამუშაოდ დადის, წუთი რა არის, იმასაც უქმად არ აცდენს.

შეხვედრა მფერლებთან

ამ დღეებში მესტიელი მშრომელები თავიანთ კულტურის სახლში შეხვდნენ ქართველ მწერლებს რევაზ მარგიანს და გიორგი შატბერაშვილს. მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობაზე დასწრეთ ესაუბრა ყრილობის დელეგატი პოეტი რ. მარგიანი, შემდეგ რ. მარგიანმა და გ. შატბერაშვილმა წაიკითხეს ახალი ნაწარმოებები.

კ. ფალიანი.
სოფლკორი.

გავა რამდენიმე წელიწადი, და საქართველოს შავი ზღვის კურორტებზე დამსვენებლები იბანავებენ ზღვაში და მიიღებენ მზის აბაზანებს პლაჟზე ზამთრის ყველაზე ცივ დროსაც კი.

გაგრასა და ბათუმში დეკემბერსა თუ იანვარში რომ ჩახვიდეთ, მიუხედავად წვიმისა და მოღრუბლული ცივი ამინდისა, შეგეძლებათ ისევე როგორც ზაფხულის მოწმენდილ დღეებში ყოველდღე იაროთ პლაჟზე, იბანაოთ და მიიღოთ მზის აბაზანები.

ამაში ხელს ვერ შეგიშლით ვერც ქარიშხლიანი ზღვა, ვერც ზამთრის ხანგრძლივი წვიმები, ვერც სიცივე და თოვლი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საქართველოს კურორტოლოგიის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარი არქიტექტორი იოსებ გიორგის-ძე ზაალიშვილი, რომელმაც შეიმუშავა პროექტი საზღვაო ბალნეოლოგიური პავილიონის „გადახურული ზღვისა“, სადაც მთელი წლის განმავლობაში იწარმოებს საალაჟო კომპლექსის ყველა პროცედურა.

ამ ორიგინალურ შენობას, რომლის დიამეტრი 120-მდე მეტრია. გეგმაში აქვს წრესთან მიახლოებული მრავალწახნაგას სახე ინჟინერ დ. ქაჯაიას სისტემის გუმბათისებრი გადახურვით, რომელსაც საშუალედო საყრდენები არა აქვს.

შენობის ნახევრადმრგვალი გუმბათი აგებული იქნება კბილანასწყობი ლითონის ელემენტებით, რომლებიც ჭადრაკული წესით ამოვსებული იქნება შუქგაუვალი თეთრი პლასტმასისა და მინის ფილებით.

პავილიონს შიგნით მოეწყობა 100 მეტრამდე დიამეტრის აუზი, რომელსაც ნაპირებზე გაუკეთდება ზღვის ქვიშის პლაჟი. პანელური გათბობით პლაჟის ქვიშა მუდამ შემთბარი იქნება 37 გრადუსამდე.

აუზს ერთიდან ორ მეტრამდე თანდათანობით გადიდებული სიღრმე ექნება. იგი შეივსება სპეციალური გასათბობი სისტემის საშუალებით 25 გრადუსამდე შემთბარი წყლით, რომელსაც სპეციალური აგრეგატები მიაწვდიან შავი ზღვიდან.

სამედიცინო პლაჟზე დაიდგმება ულტრაიისფერი მოსხივების ტორშერები და კიდული ნათურები. ისინი შექმნიან სხივურ ენერგიას, რომელიც ზაფხულის მზის სხივებთან მიახლოებული იქნება.

პროექტი ითვალისწინებს ყველა მოხერხებულ პირობას დამსვენებელთათვის როგორც სამკურნალო პლაჟზე, ისე დამხმარე სათავსებში.

პავილიონი „გადახურული ზღვა“ ნავარაუდევია მოეწყოს პირველ რიგში ქალაქ-კურორტებში ბათუმსა და სოხუმში, აგრეთვე გაგრასა და ქობულეთში.

ამჟამად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საქალაქო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის სპეციალურ სახელოსნოში არქიტექტორ იოსებ ზაალიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო პავილიონ „გადახურული ზღვის“ დეტალური პროექტის შემუშავება. ასეთი ორიგინალური პავილიონის მშენებლობა პირველად ხორციელდება საერთაშორისო სამედიცინო და საკურორტო პრაქტიკაში.



„დახურული ზღვის“ პავილიონის მაკეტი.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

გლეზოსმა უნდა იცოცხლოს!



პროგრესული კაცობრიობა მოითხოვს,

ნახ. გ. ლომაძისა.

გლეზოსის წერილი

ბერლინი, 11 ივლისი. (საკ-დესი). ადნის სააგენტომ გამოაქვეყნა მანოლის გლეზოსის განცხადება, რომელიც მან გაუკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოს სპეციალურ კორესპონდენტს ათენის სამხედრო სასამართლოს დარბაზში. „ჩემი სურვილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოს, სომპრლის რადიოს საშუალებით, — განაცხადა მან. — გადავცე მშვიდობისა და დემოკრატიის მეგობრებს მთელ მსოფლიოში წერილი: ბრძოლა ჩემი გადარჩენისათვის მარტო ჩემი სიცოცხლისათვის ბრძოლა ოდია. იგი არის კეთილშობილური ბრძოლა დემოკრატიისა და მის დაწესებულებათა გამარჯვებისათვის, რომლებიც საბერძნეთში საფრთხეში არიან, ბრძოლა მშვიდობის ტრიუმფისათვის, მიუხედავად მილიტარისტებისა და იმპერიალისტების ყველა წინააღმდეგობისა. მე, როგორც ბერძენი მებრძოლი ამ მიზნებისათვის, მადლობელი ვარ... (ამ ადგილას მცველებმა შეაწყვეტინეს სიტყვა გლეზოსს და წაიყვანეს ბრალდებულის სკამზე).

ათენი. 10 ივლისი. (საკ-დესის კორ.). დღეს დილით გრძელდებოდა მანოლის გლეზოსისა და სხვა დემოკრატების სამხედრო გასამართლება.

დარბაზში ყველა მყოფი გრძნობს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ეორშილოვის წერილმა საბერძნეთის მეფის პავლე პირველისადმი, რომლითაც გამოთქმულია საბჭოთა ხალხის სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ საბერძნეთის ეროვნული გმირის მანოლის გლეზოსის სიცოცხლესა და თავისუფლებას საფრთხე მოელის. გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „კატიმერინი“ დღეს წერილის სრულ ტექსტს ათავსებს პირველი გვერდის ცენტრში.

გაზეთები დღევანდელი ნომრები განაგრძობენ ბერძენი ხალხის ახალი პროტესტების ბეჭდვას გლეზოსისა და სხვა დემოკრატების სამხედრო გასამართლების წინააღმდეგ და ახალ მოთხოვნებს მათი განთავისუფლებისათვის.

როგორც ჩანს, საზოგადოებრიობის ამ ფართო მოძრაობის გათვალისწინებით ხელისუფალნი განაგრძობენ სასამართლოში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დაშვების შეზღუდვას. სასამართლოს შენობასთან და დარბაზში „წესრიგის“ დასაცავად მობილიზებულია ათენის პოლიცია, შენობაში მუდამ არიან ათენის პოლიციის უმაღლესი თანამდებობის პირები. სასამართლო წარმოებს იმავე პატარა დარბაზში. გუშინდელი დღის მეორე ნახევარში იმ ადგილების რიცხვი, რომლებიც განკუთვნილია სხვა ქვეყნების წარმომადგენელთათვის, რომლებიც პროცესზე ჩამოვიდნენ, და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისათვის, კიდევ ერთი მესამედით შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რაღაც 12 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით მეოთხედი ადგილი სავეკი პირებს უკავიათ, რომლებიც ცდილობენ პროვოკაცია მოუწყონ უცხოელებს, ცხადი გახდება ხელისუფალთა მიერ მიღებულ ღონისძიებათა ხასიათი.

დღეს დილიდან სასამართლო განიხილავდა დაცვის ადვოკატების გუშინდელ წინადადებას, რომ პოლიციის ოფიცერს პაპასპიროპულოსს ნება არ მიეცეს გამოვიდეს სასამართლოში როგორც ბრალდების მოწმე, რამდენადაც იგი მონაწილეობას იღებდა გამოძიებაში ამ საქმეზე. საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 211 მუხლის შესაბამისად, იმახ, ვინც მონაწილეობას იღებდა გამოძიებაში, უფლება არა აქვთ ამ საქმეზე გამოვიდნენ როგორც მოწმენი. არსებული ცნობებით, პაპასპიროპულოსი მონაწილეობას იღებდა დოკუმენტების კონფისკაციაში და წინასწარი მოხსენეის შედგენაში, რომელიც ეხება ბრალდებულ ტრიკალინოსს. მეფის პროკურორის სკორდასის გამოსვლის შემდეგ, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა პაპასპიროპულოსისათვის ასეთი უფლების მიცემას, და თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება უარყოს დაცვის წინადადება იმ საბაბით, რომ კონფისკაციაში ბრალეულობა თითქოს არ არის გამოძიებაში მონაწილეობა.

შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მის სახელზე პოლონეთიდან მოვიდა დეპეშა მოთხოვნით არ დაუშვან თვითნებობა გლეზოსისა და სხვა ბრალდებულთა მიმართ. ამტკიცებდა რა სასამართლოს მიუდგომლობას, თავმჯდომარე საერთოდ ილაშქრებდა გლეზოსის დასაცავად მოძრაობის წინააღმდეგ.

შემდეგ თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ გლეზოსი ცდილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს თავისი გმირული საქციელი.

გლეზოსის დამცველმა ადვოკატმა სტეფანაკიმ პროტესტი განაცხადა თავმჯდომარეს ცდის წინააღმდეგ ასეთი ტონით ილაპარაკოს გლეზოსის გმირობაზე. გლეზოსის მეორე დამცველმა ადვოკატმა ვასილატოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გლეზოსის იერიდიოლ საქმეში მისი გმირული საქციელია ფაქტი საერთოდ გამოყენებული არ არის. მანოლის გლეზოსმა პროტესტი განაცხადა თავმჯდომარის მოქმედების წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი საქმის გარჩევის დროს საერთოდ ლაპარაკი არ იქნება მის საქციელზე. მან განაცხადა, რომ მისი საქმის გარჩევისას გამოთქვამს თავის აზრს სასამართლოს პროკურორზე, რომელსაც მისდამი იყენებენ. ამ განაცხადებათა მსვლელობაში თავმჯდომარე უმიზეზოდ აწყვეტინებდა სიტყვას ადვოკატებსა და გლეზოსს და მოითხოვდა გაჩუმებულიყვნენ.

შემდეგ სასამართლო გადავიდა ბრალდების მოწმეთა დაკითხვაზე. ისინი ოთხნი, მათ შორის სამი პოლიციელია. ჯერ კიდევ გუშინ გლეზოსისა და სხვა ბრალდებულთა დამცველმა ადვოკატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გლეზოსისა და სხვა დემოკრატების მთელი „საქმე“ შექმნა ასფალიამ (პოლიტიკურმა პოლიციამ).

როგორც ათენის დღევანდელი დემოკრატიული პრესა აღნიშნავს, იერისტა გამოსულან სამხედრო სასამართლოს კომპეტენტურობისა და № 375 კონსტიტუციური კანონის წინააღმდეგ სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე ლაბვარი ჩასცა ამ კანონსა და სასამართლოს. ამაკარად გამოჩნდა სამხედრო სასამართლოს პოლიტიკური ხასიათი, ხაზგასმით აღნიშნავს დღეს „ავგი“. აქ აღნიშნავენ, რომ გლეზოსისა და სხვა დემოკრატების მოსამართლეები მთელ გუშინდელ დღეს იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ და ეძებდნენ საბაბს, რათა გაემართლებინათ თვითნებობა გლეზოსისა და სხვა პატრიოტების მიმართ. საზოგადოებრიობის ზეგავლენის შესასუსტებლად ჯერ კიდევ გუშინ ტრიბუნალის თავმჯდომარე ცდილობდა დაიწყო ბრალდების მოწმეთა დაკითხვა და, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა დაეკვა განაცხადა, რომ პოლიციელი იერიდიოლად უფლებამოსილი არ არის გამოვიდეს მოწმედ, იგი იძულებული გახდა მოწმეთა დაკითხვა დღეისთვის გადმოეტანა.

ძნელ შემთხვევებში, როცა ბრალდების მოწმე საკმაოდ აბნეულ ჩვენებას იძლეოდა, თავმჯდომარე ეხმარებოდა და „აზუსტებდა“ მის განცხადებათა აზრს.

ათენი, 10 ივლისი. (საკდესი). გლეზოსისა და სხვა დემოკრატების სამხედრო გასამართლების საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდების მოწმის პოლიციელი პაპასპიროპულოსის ჩვენება.

სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პაპასპიროპულოსი ბრალდების მთავარი მოწმეა.

პაპასპიროპულოსმა ძირითადად გიორგორე საბრალდებო დასკვნის შინაარსი,

ი. აგლამოვი.

სასამართლოს ინსცენირება

მსოფლიო და საბერძნეთის საზოგადოებრიობის ძლავრი მოძრაობის გავლენას გლეზოსისა და სხვა დემოკრატების დასაცავად. ჯერ კიდევ გუშინ გლეზოსისა და სხვა დემოკრატების დამცველი ადვოკატები, მოითხოვდნენ რა ბრალდებულთათვის მართლმსაჯულებას, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გლეზოსისა და სხვა ბერძნების ბედი, რომლებიც მიცემული არიან სამართალში „ჯამუშობის“ ბრალდებით, აღელვებს მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს. დღეს ცნობილი გახდა, რომ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე დაიწყო უცხოეთიდან დეპეშების მოსვლა მოთხოვნით არ დაუშვან თვითნებობა გლეზოსისა და სხვა დემოკრატების მიმართ. დარბაზში მყოფთ ხელში უჭირავთ ათენის გაზეთების ახალი ნომრები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ პროცესს. ბურჟუაზიული პრესა, რომელიც წინათ ცდილობდა არასაკმრისი მიზნებით ხმაური აეტეხა სასამართლოს გარშემო, იძულებულია საზოგადოებრიობის ზეგავლენით გარდაქმნას მუშაობა და მოათავსოს საკმაოდ ვრცელი რეპორტაჟი სასამართლოს დარბაზიდან. გაზეთები „ელიფტერია“ და „ვემა“ აღნიშნავენ მოძრაობის ფართო მასშტაბს გლეზოსის დასაცავად.

საბერძნეთის საზოგადოებრიობაზე ლავდა დაცვის ადვოკატების გუშინდელ წინადადებას, რომ პოლიციის ოფიცერს პაპასპიროპულოსს ნება არ მიეცეს გამოვიდეს სასამართლოში როგორც ბრალდების მოწმე, რამდენადაც იგი მონაწილეობას იღებდა გამოძიებაში ამ საქმეზე. საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 211 მუხლის შესაბამისად, იმახ, ვინც მონაწილეობას იღებდა გამოძიებაში, უფლება არა აქვთ ამ საქმეზე გამოვიდნენ როგორც მოწმენი. არსებული ცნობებით, პაპასპიროპულოსი მონაწილეობას იღებდა დოკუმენტების კონფისკაციაში და წინასწარი მოხსენეის შედგენაში, რომელიც ეხება ბრალდებულ ტრიკალინოსს. მეფის პროკურორის სკორდასის გამოსვლის შემდეგ, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა პაპასპიროპულოსისათვის ასეთი უფლების მიცემას, და თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება უარყოს დაცვის წინადადება იმ საბაბით, რომ კონფისკაციაში ბრალეულობა თითქოს არ არის გამოძიებაში მონაწილეობა.

შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მის სახელზე პოლონეთიდან მოვიდა დეპეშა მოთხოვნით არ დაუშვან თვითნებობა გლეზოსისა და სხვა ბრალდებულთა მიმართ. ამტკიცებდა რა სასამართლოს მიუდგომლობას, თავმჯდომარე საერთოდ ილაშქრებდა გლეზოსის დასაცავად მოძრაობის წინააღმდეგ.

მრუდე საკვეში

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ამას წინათ მოსკოვში მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ი. მ. ნუსინოვის წიგნი **„ლიტერატურული გმირის ისტორია“**, რომელშიც ავარმოდგენილია რამდენიმე საყურადღებო ნაოკვეული ე. წ. მარადიულ სახეთა ისტორიებ. მკითხველს ისიც შეიძლება მოეგონოთ, რომ ამ კრებულში მოთავსებული წერილების ერთ ნაწილს 1937 წლის გამოცემაში „მარადიული სახეები“ ეწოდებოდა. ავტორს არაერთი სამართლიანი დაკვირვება აქვს პრომეთეს, დონ-ხიტოტის, მეფე ლირის, დონ-ჟუანის, ფაუსტის შესახებ. ნაშრომი ხელს უწყობს ლიტერატურული პროცესის შესაცნობ, გვაცნობს მსოფლიო მხატვრულ სახეთა ისტორიას. სამწუხაროდ, ისიც და საბუთებით გამაგრებულ მსჯელობებთან ერთად ნაშრომში ეხვდება დაუსაბუთებელი, ბოლომდე ეჭვიანებელი და მცდარი შეხედულებანი.

ასეთ შენიშვნას იმსახურებს წიგნის ორივეზე ადგილი, რომელიც პრომეთეს ეხება. ცხადია, 550 გვერდიანი ტომეულის განხილვა შეუძლებელია ერთ წერილში. ამიტომ ჩვენ აქ სპეციალურად პრომეთეს პრობლემით შეეხებოდ ერთ-ერთ, რადგანაც იგი რამდენადმე ქართულ სინამდვილესაც ეხება. ნარკვევი ჰესიოდეს პოემების „თეოგონიის“ და „დღენი“ და „თეოგონიის“ ბიბლიოგრაფიი იხსნება. ჰესიოდე მიჩნეულია პრომეთეს მითის უბრალო ჩამწერად. პრომეთეს პრობლემებისადმი მიძღვნილ პირველ თავს ეწოდება: „პრომეთეს ძალის პირველი ჩანაწერი“. სწორედ ამით იწყება გაუგებრობა. ჰესიოდე არ არის მითების ჩამწერი და შემკერი. „პირველეს ყოვლისა იგი პოეტი, რომელიც ძველ მითებს საკუთარი ხედვებლების მიხედვით ამუშავებს. ამიჩნევი რა ავტორმა ჰესიოდე მითის ჩამწერად, მხედველობაში აღარ მიიღო ბერძნების ლიტერატურული ხასიათი და წინასწარ გამოუძიებლად პოეტურად დამუშავებული მითი ფუძედ ასხვა ეროვნული ეპოსის, ძველ ბერძნულ ეპოსის, ანუ ეროვნული ეპოსის ერთ-ერთ ეტაპად ჩათვალა. ეს ეტაპი ბერძნულ ეპოსში ბოლოს ადგილი ეჭირა,

შეხვედრები ჩიკაგოში

ჩიკაგო, 10 ივლისი. (საკდესი). გუშინ საქალაქო მუნიციპალიტეტის შენობაში გაიმართა საუბარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ფ. რ. კოზლოვსა და ჩიკაგოს მერ რ. დელის შორის. საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რ. დელიმ ილაპარაკა ჩიკაგოს საქალაქო მეურნეობის პრობლემებზე. ფ. რ. კოზლოვმა თავის მხრივ მერის თხოვნით დაწერილებით უპმბო მას სსრ კავშირის საბინაო მშენებლობაზე, ახალ ქალაქებზე, რომლებიც ჩნდება ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, საბჭოთა მრეწველობისათვის კადრების მომზადების სისტემაზე. „ჩამბრძანდით ჩვენს ქვეყანაში, — ეუბნება ფ. რ. კოზლოვი ბ-ნ დელს, — ნახეთ როგორ იზრდება და კეთილძოწყობილი ხდება ჩვენი ქალაქები, გაეცანით შრომისმოყვარე საბჭოთა ხალხს“.

მერთან გამოთხოვებისას ფ. რ. კოზლოვმა სთხოვა მას მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცეს ქალაქ ჩიკაგოს მცხოვრებთ.

შემდეგ ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები ავტომანქანებით წავიდნენ ფერმერთა მეურნეობების დასათვალიერებლად გრუნდის ოლქში, რომელიც ჩიკაგოს ახლოს მდებარეობს.

გზის ახლოს ფ. რ. კოზლოვს შეხვდა დიდი ფერმის პატრონი ჯეიმს ჰოლდერმანი. იგი გულითადად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს, მადლობა გადუხადა ჩამოსვლისათვის და მიიწვია თავისი მინდვრების სანახავად. ჯეიმს ჰოლდერმანი სიმინდის მოყვანის ენთუზიასტია. თავის 700 აკრზე იგი ყოველთვის აწარმოებს საინტერესო ექსპერიმენტებს სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველად. გულმოდგინედ არჩევს სიმინდის ჯიშებს, რომლებიც საუკეთესო მოსავალს იძლევა ილინოისის შტატის კლიმატურ და ნიადაგის პირობებში, ცდილობს სრულყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანები ნიადაგში სასუქი შესატანად, ჰოლდერმანი, კერძოდ, საბჭოთა სტუმრებს უამბობს, რომ მან თავის ფერმაში უარი თქვა სიმინდის ნათესის მწკრივთაშორის დამუშავებაზე და სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს მინდვრების ქიმიური შეადგენლობით ორჯერად სხურებას. მას აინტერესებს საბჭოთა მემინდვრეების გამოცდილება სიმინდის მოყვანაში. შემდეგ ფ. რ. კოზლოვი ათვალიერებს ჯონ ჰაუმილდის მეძოვეობის ფერმას. ფერმერი ურჩენებს საბჭოთა სტუმრებს თავის მეურნეობას და უზიარებს პირუტყვის უსაძოვროდ (ბაგურ) მოგლა-შენახვის გამოცდილებას.

ფ. რ. კოზლოვთან მიდიან ფერმერის ცოლი და მისი ქალიშვილი, რომელსაც ხელში პატარა გოგონა უჭირავს. ფ. რ. კოზლოვი გულფფილად ესაუბრება ქალებს, მხიარულად ხუმრობს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას უსურვებს მათ. მასპინძლებთან გამოთხოვებისას ფ. რ. კოზლოვი მადლობას იხდის გულთბილი მიღებისათვის და ჰაუშილდის პატარა შვილიშვილს დებრეს უყიდვის ნიშნად, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა თანამგზავრი. მცირე ჯგუფებად დაყოფილი საბჭოთა სტუმრები მიდიან ახლო მდებარე ფერმებში, სადაც სტუმართმოყვარე მასპინძლებმა საუზმე გაუმართეს მათ.

საუზმის შემდეგ ფ. რ. კოზლოვმა გაბაგონო ჰოლდერმანის ფერმის დათვალიერება. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეს გარშემო იკრიბება ფერმერთა, სოფლის მეურნეობის მუშათა, მათი ოჯახების წევრთა დიდი ჯგუფი. ზოგიერთმა მათგანმა გრძელი გზა გამოიარა, რათა მისალმებოდა საბჭოთა სტუმარს. ბევრმა ფოტომოყვარულმა მოასწრო გამოიმეტალებინა და დაებეჭდა ფ. რ. კოზლოვის ფოტოსურათები. ახლა ისინი სთხოვენ მას მოაწეროს ხელი ამ სურათებზე.

საღამოს კომპანია „ბელ ენდ ჰოუელის“ პრეზიდენტმა ჩარლზ პერსიმ სადილი გამართა ფ. რ. კოზლოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ ილინოისის შტატის გუბერნატორი უ. სტრატონი, შტატის საზოგადოებრიობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. სადილის დროს კომპანია „ბელ ენდ ჰოუელის“ პრეზიდენტმა ჩ. პერსიმ წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის მეთაურის, ნ. ს. ხრუშჩოვის სადღეგრძელო. კოზლოვმა წარმოთქვა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სადღეგრძელო. სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დღის ბოლოს ფ. რ. კოზლოვი დაესწრო ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტს საზაფხულო პარკ რავენიაში.

ყოველი მხრიდან

ჰერტერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 10 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა თავის პრეს-კონფერენციაზე 9 ივლისს უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორია შეთანხმების მიღწევის პერსპექტივები საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებაზე, რომელიც ჟენევაში განახლდება 13 ივლისს და უმაღლეს დონეზე თათბირის შესახებ.

ჰერტერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, არსებობს „რაღაც შესაძლებლობა“ იმისა, რომ ჟენევის თათბირზე მიღწეულ იქნეს შეთანხმება ბერლინის საკითხში. მაგრამ მან მაშინვე დასძინა, რომ იგი „აოასოდეს ოპტიმისტურად არ აფასებდა წარმატებითი მოლაპარაკების მოწყობის შესაძლებლობას“.

რაც შეეხება უმაღლესი დონის თათბირს, სახელმწიფო მდივნის განცხადებით, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა საკმაოდ ნათლად გამოთქვა აზრი ამის თაობაზე, როცა თქვა, რომ, თუ მინისტრებმა ვერ მიაღწიეს „ისეთ პროგრესს, რომელიც გაამართლებს ასეთი თათბირის მოწვევას“, ამერიკის შეერთებული შტატები არ მიიღებენ მონაწილეობას ამ თათბირში.

ჰერტერმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი „მოხარული იქნება მიიღოს მონაწილეობა“ უმაღლესი დონის თათბირში, თუ მომავალი მოლაპარაკების დროს ჟენევაში „შეიქმნება ისეთი გარემოება, რომელიც გაამართლებს უმაღლესი დონის თათბირს“. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა გაეცა პასუხი კითხვაზე, კონკრეტულად რა პროგრესია საჭირო, მისი აზრით, მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევისათვის.

როცა ჰერტერს ჰკითხეს მიგაჩნიათ თუ არა, რომ შეერთებული შტატები ჟენევის მოლაპარაკების მსვლელობაში შეძლებენ შეცვალონ თავიანთი პოზიცია ბერლინის საკითხზეო, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არასოდეს არ უთქვამთ ასეთი შესაძლებლობის შესახებ. იმედი მაქვს, დასძინა ჰერტერმა, რომ ჩვენ მოლაპარაკებაზე დავბრუნდებით ამერიკის წინადადებათა საფუძველზე.

უპასუხა რა კითხვაზე, ხელი შეუწყეს თუ არა ურთიერთგაგების გაუმჯობესებასა და შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეების ა. ი. მიკოიანისა და ფ. რ. კოზლოვის ვიზიტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰერტერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ეს ვიზიტები მთლიანად სასარგებლო იყო.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ფრთხილად გამოთქვა ეჭვი იმაში, რომ მტკიცე იყოს „დასავლეთის სახელმწიფოთა გაერთიანებული ფრონტი“ ჟენევაში. ჰერტერმა უპასუხა, რომ ჟენევაში დასავლეთის სახელმწიფოთა „გაერთიანებული ფრონტი“ იყო „ნამდვილი“, და იმედი გამოთქვა, რომ ეს ფრონტი შენარჩუნებულ იქნება მომავალშიც და იქნება „საკმაოდ ეფექტიანი“. ჰერტერმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე, გარდუვალად მიაჩნია თუ არა მას „შეჯახებული ატომური ომი“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება

პრაღა, 10 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა საგენტო იუწყება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობისა და მშვიდობის დასაცავად მშრომელთა მასების ბრძოლის გაგრძობის შესახებ.

ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშრომელები და ხალხები, ნათქვამია განცხადებაში, უურადღებით და იმედით ადევნებდნენ თვალყურს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მუშაობის მსვლელობას. ხალხები ამ დიდმნიშვნელოვანი შეხვედრისაგან მოელიან, რომ იგი საფუძველს ჩაუყრის მტკიცე მშვიდობას, გზას გაუხსნის გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში არსებული საშიშ მდგომარეობის ლიკვიდაციას, რომ იგი გაითვალისწინებს ატომური ომის გაჩაღების თავიდან აცილების ღონისძიებებს. ეს მიზნები ჯერ მიღწეული არ არის იმ დაბრკოლებათა გამო, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები და განსაკუთრებით ადენაუერის მთავრობა უქმნიან. მაგრამ ეს სახელმწიფოები იძულებული არიან აღგარიში გაუწიონ მშვიდობისადმი მისწრაფებას, რომელსაც მტკიცედ გამოხატავენ მთელი მსოფლიოს ხალხის მასები. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მომთმენნა და კონსტრუქციულმა ღონისძიებებმა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეუნელებელმა ზეგავლენამ და განსაკუთრებით მშრომელთა და პროფკავშირთა მრავალმა გამოსვლამ ნება არ მისცა ჩაეფუშათ თათბირი.

ამ აზრით თათბირის მუშაობის განახლება, რაც დანიშნულია 13 ივლისისათვის, აღმფრთოვანებელია. ისახება იმის ახალი პერსპექტივები, რომ ჟენევის თათბირმა გადაჭრას უაღრესად გადაუდებელი პრობლემები, რომლებიც მშვიდობას ეხებიან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს ყოველგვარი კეთილნებების ყველა მშრომელსა და პროფკავშირულ ორგანიზაციას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მუშაობის განახლების შომენტიდან განაგრძონ ჟენევაში დელეგაციების, პეტიციებისა და წერილების გზავნა და გაადიდონ სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციების ერთობლივი შეხვედრისა და გამოსვლების რიცხვი. იგი მოუწოდებს მათ თავიანთი ხმა შეუერთონ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ხმას, რათა თათბირს მოსთხოვონ მიაღწიოს შეთანხმებას გერმანიასთან საბავო ხელშეკრულების ხელმოწერის, დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაჭრის. უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის, ატომური იარაღის გამოცდის საბოლოო შეწყვეტისა და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვის საქმეში.

საბჭოთა გამოფენის წარმატება ნიუ-იორკში

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენის უდიდეს წარმატებას იუწყება საფრანგეთის ყოველკვირეული ორგანო „ექსპრესის“ კორესპონდენტი ს. კუპერი. „პირველ სართულში, — წერს იგი. — მეფობს ტექნიკა, რომელიც ისეთ მნახველსაც კი აცვიფრებს, რომელსაც ერთმანეთში ვერ გაურჩევია სახარატო ჩარხი და საგლინავი დგანი. გამოფენის შესასვლელთან ნაჩვენებია დედამიწისა და მზის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები, რომელთა ნატურალური სიდიდის მოდელები თავიანთი მასით ჭარბობენ ყველაფერს, რაც კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დღემდე გაუშვეს კოსმოსური სივრცეში. შემდეგ ნაჩვენებია სსრ კავშირის ინდუსტრიული და მეცნიერული ძლიერება“...

კუპერი აღნიშნავს, რომ გამოფენამ უდავოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ათასობით ამერიკელზე, რომლებმაც იგი დაათვალიერეს და გაცნოველებული საუბრები ჰქონდათ გიდებთან და ურთიერთშორის. ხშირად მნახველნი მიუსხდებოდნენ მაგიდას, რათა ნახევარგვერდზე ჩაეწერათ შთაბეჭდილება გამოფენის წიგნში, ამასთან მეტი წილი შთაბეჭდილებანი კეთილსასურველ აზრს მამოტაბავენ. „ჩვენ გვატყუებდნენ, — წერს ერთი მნახველი. — არასოდეს არ გვეგონა, რომ ყოველივე ეს არის საბჭოთა კავშირში“.

სუკარნოს სიტყვა

ჯაკარტა, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს ჯაკარტაში „მერდეკას“ სასახლეში გაიმართა ახალი მთავრობის წევრების მიერ ფიცის მიღების ცერემონია, მთავრობისა, რომელსაც პრეზიდენტი სუკარნო მეთაურობს.

ცერემონიის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ახალი მთავრობის წინაშე დგას გადაუდებელი პრობლემები და კერძოდ, პრობლემა ხელმისაწვდომ ფასებში საკმაო რაოდენობის სასურსათო საქონლითა და ტანსაცმლით ხალხის უზრუნველყოფის პრობლემა, აგრეთვე ხალხისა და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა, რამდენადაც მათ დღემდე ემუქრება კონტრრევოლუციონერთა ძირგამომთხრელი საქმიანობა და ომნები. პრეზიდენტმა შემდეგ აღნიშნა, რომ მთავრობა კვლავაც განაგრძობს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, „კერძოდ დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ფარგლებში“.

იმედი მაქვს, განაგრძო სუკარნომ, რომ მთელი ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ მთავრობას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს უფლება აქვს მოსთხოვოს კაბინეტს დასახული პროგრამის რეალიზაცია.

პრეზიდენტმა დასასრულ განაცხადა, რომ ახალი „უპარტო მუშა კაბინეტი“ დღეიდან იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას.

ისინი ტოვებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას

ბერლინი, 10 ივლისი. (საკდესი). სულ უფრო დიდდება იმ პირთა რაოდენობა, რომელნიც დასავლეთ გერმანიიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადიან. როგორც ადნის საგენტო იუწყება, სასაზღვრო საკონტროლო პუნქტში ვარტიდან 1959 წლის პირველ ნახევარში ჩავიდა სამჯერ მეტი ლტოლვილი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. აქედან მესამედზე მეტს შეადგენენ მაღაროელები და კვალიფიციური მუშები რურის ოლქიდან, რომელთა გადმოსვლის მიზეზია ძმიმე ეკონომიური მდგომარეობა. საგენტოს მოჰყავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადმოსული ცოლ-ქმრის ხმების განცხადება, რომლებმაც თქვეს, რომ მარტო ჰელზენკირხენ-ბიურხასელის რაიონიდან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნახევარი წლის მანძილზე გადმოსახლდა 22 ოჯახი. ყოველდღიურად თავშესაფარის მიცემას თხოულობს შენგბეკის მიმღებ პუნქტში დაახლოებით 80 კაცი. მათ შორის ბევრია ბუნდესვერის ყოფილი ჯარისკაცი და ახალგაზრდა, რომელთაც სამხედრო სამსახურში გაწვევა ეხებათ.

ტურისტთა ბანაკი მთებში.
ფოტო ი. დვალისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ლენინგრადელთა სპექტაკლები

ამ დღეებში ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის კოლექტივმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თ. დოსტოევსკის „იდიოტი“.

სცენიური კომპოზიცია და დადგმა ეკუთვნის ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს გიორგი ტოვსტონოგოვს. რეჟისორია რ. სოროტა, მხატვარი მ. ლიხაჩაკოვი, კომპოზიტორი ი. შვარცი, დირიჟორი ნ. ლიუბარსკი.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ ი. სმოკტუნოვსკი (თავადი მიშკინი), რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ე. ლებედევი (როგოჟინი), ნ. ოლხინა (ნასტასია ფილიპეს ასული), ნ. ჟორნი (გენერალი ეპანჩინი) და სხვ.

გუშინ ლენინგრადელმა მეგობრებმა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს რუმინელი დრამატურგის სებასტიანის კომედია „უსახელო ვარსკვლავი“.

ოლიმპიური ნაკრები

19 ივლისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება ოლიმპიური ტურნირის შერჩევითი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

სსრ კავშირის ნაკრებთა მწვრთნელები საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის შემადგენლობა, რომლის რიგებში შეეყვანელია 20 ფეხბურთელი.

ესენი არიან: ცსკა მო-დან — ი. ალიოშინი, დ. ბაგრიჩი, მ. ერმოლაევი, ნ. ლინეიკეი, ა. მამიკინი, ბ. რაზინსკი, მოსკოვის „დინამოდან“ — ვ. კოროლენკოვი, ა. სოკოლოვი, ვ. ურინი, თბილისის „დინამოდან“ — ა. ღოღობერიძე, ზ. კალოევი, მ. მესხი, მოსკოვის „სპარტაკიდან“ — ვ. ივაკინი, ა. სოლდატოვი, ლენინგრადის „ზენიტიდან“ — ს. ზავიდონოვი, რ. სოკეიკო, დონის როსტოვის სკა-დან — ი. მოსალეონოვი, ვ. პონდელნიკი, მოსკოვის „ტორპედოდან“ — ს. მიტრეველი, მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ — ი. კოვალიოვი.

ფეხბურთი წყალბურთში

გუშინ თბილისის ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში გაიმართა რუმინეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ასპარეზობის უკანასკნელი მატჩები.

პირველად გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს მეორე ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს აზერბაიჯანელებმა 3:2.

დიდ ინტერესს იწვევდა რუმინეთისა და საქართველოს პირველი ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც ტურნირის ცენტრალურ სპორტულ წარმოადგენდა.

შეხვედრის პირველ ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელთა ერთ-ერთი კომბინაცია შედეგიანი აღმოჩნდა. ბურთი გაიტანა ჩიქვანიამ. მეორე ტაიმის დასაწყისში ჩხიკვაძემ, ხოლო შემდეგ გვახარიამ და ჩიქვანიამ მოწინააღმდეგის კარში დამატებით 3 ბურთი გაიტანეს, მაგრამ ბოლო წუთებში სტუმრებმა შეძლეს 2 საპასუხო ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა საქართველოს პირველი ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

საერთაშორისო ოსტატის
ვ. გოგლიძის რედაქციით

ამოცანა № 5

ვ. კორძახია (აბაშა)

a b c d e f g h

თეთრები: მფd6, ეa4, ეh1, კg3, მa5, მf4, ჰb: d7, g2, h4 (სულ 9);

შავები: მფd8, ეa2, კa6, მc2, ჰb: b7, c5, f7, f6, f5 (სულ 9).

შამათი ხუთ სვლაში.

* * *

1959 წლის 21 ივნისს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული № 4 ამოცანის (ავტორი რ. თავარიანი) გადაწყვეტა ასეთია: კf5! მe6 (f7) 2. ლe1+ მფ:a2 3. კe6+ მფa3 4. ლa5×.

* * *

ამოცანის სწორი ამოხსნა გამოგზავნეს: ს. გოზალიშვილმა (თბილისი), ა. მაჩიტაძემ (სამტრედია), ზ. მარღანიამ (ს. ქოლობანი), ი. ჭოლაძემ (მახარაძის რაიონი), რ. მიქაუტაძემ (ამბროლაური), შ. ესებუამ (წალენჯიხა), პ. ცუცაქიძემ (ს. ხალიფაური), ჯ. კაპანაძემ (ქიათურა), ე. ბიშმელაშვილმა (რუსთავი), ჭ. კვაშილავამ (ს. ახალი კინდღი), გ. მეავანაძემ (ს. როხი).

ორშაბათს, 13 ივლისს, დღის 12 საათზე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 42) გაიმართება **ამერკავკასიის რესპუბლიკების ჟურნალისტთა მეგობრობის კვირეულის** მონაწილეთა შეხვედრა ქ. თბილისის ჟურნალისტებთან. შეხვედრა მიეძღვნება პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების პროპაგანდის საქმეში სამი მოძმე რესპუბლიკის გაზეთების გამოცდილების განზოგადებას.

რედაქტორი
დ. მგელაძეშვილი.



12 ივლისი

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 11.30 პოეტ მიქელ პატარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გადაცემა, 11.45—მუსიკა, 12.15 — სიმღერები და რომანსები ს. გმირიანის შესრულებით, 12.45 — ბ. კვერნაძეცეკვა — ფანტაზია სიმფონიური ორკესტრისათვის, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა ბიჩერ-სტოუს მოთხრობისა „ბიძია თომას ქოხი“, 14.45 — საუბარი: „რა არის ბიბლია და ვინ დაწერა იგი“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „სატირა და იუმორი“, 16.15 — გადაცემა ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი: „ტაშისკარელ პიონერებთან“, 18.00 — კონცერტი რიდიმსმენელთა დაკვეთით, 19.00 — გადაცემა: „სოფიის მუსიკალური ცხოვრება“, 19.30 — დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები კამერულ ორკესტრის შესრულებით, ორკესტრის ხელმძღვანელი შტროსი, 21.00 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „სცენის ოსტატების შემოქმედებითი პორტრეტები“. — რესპუბლიკის სახალხო არტისტი სესილია თაყაიშვილი, 21.55 —ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრასა“ მონტაჟი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲙᲞ Ც. Კ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14.
ᲯᲔ 04113

თავისუფლების გზით



სურათებზე: ზემოთ — ბაღდადი. ქალაქის საერთო ხედი; ქვემოთ — მდინარე ტიგროსი ბაღდადის რაიონში.

ერთი წლის წინათ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იფეთქა რევოლუციამ და დამხობილი იქნა ნური საიდის რეჟიმი, რომელიც ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყანას იმპერიალისტთა ინტერესებს უმორჩილებდა.

ერაყის რევოლუცია თავისი შინაარსითა და სოციალური ძალების განლაგებით განსხვავდება ახლო აღმოსავლეთში მოახდარი სხვა ანტიიმპერიალისტური რევოლუციებისაგან. ჩამოვთვალოთ მისი ზოგიერთი თავისებურება:

პირველი — პროგრესული სამხედრო მოღვაწეების მიერ მოწყობილი გამოსვლების სწრაფად შეუერთდნენ ფართო პატრიოტული სახალხო მასები და მოპოვებული ხელისუფლების განმტკიცების მიზნით რევოლუციის პირველსავე საათებში საბოლოოდ იქნენ განადგურებული მონარქისტულ-პოდოფალალური მმართველი წრეები. თვით ერაყის მეფე მოკლულ იქნა.

მეორე — ერაყის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა რესპუბლიკის მეთაურებს კერსი იქითკენ კი არ აუღიათ, რომ მთავრობა მხოლოდ სამხედრო ფენებისათვის სასურველი პიროვნებებისაგან შემდგარიყო, არამედ რევოლუციურმა მთავრობამ მიზნად დაისახა შექმნილიყო პატრიოტული ძალების ერთიანი ფრონტის მთავრობა, რომელიც უკეთ დაიცავდა რევოლუციის ინტერესებსა და მის მონაპოვარს.

მესამე — ერაყის მაშინდელი შინაგანი მდგომარეობის პირობებში, როდესაც ერაყი ჯერ კიდევ ბაღდადის პაქტის წევრი იყო, როდესაც ერაყის ტერიტორიაზე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ძლიერი ბაზა იყო, როდესაც ნური საიდის ზურგს უკან დასავლეთელი იმპერიალისტები იდგნენ, შეუძლებელი იყო რევოლუციის გამარჯვება. თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებდნენ სახალხო მასები, და სწორედ იმ გარემოებამ, რომ სახალხო მასები ასე აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ ბრძოლაში, განაპირობა ამ მძლავრი ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის გამარჯვება.

მეოთხე — რევოლუციის გამარჯვებამ ერაყის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედი ძალები კი არ ჩაანაცვლა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებანი, რომლებსაც ნამდვილად სურდათ ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება და ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა, კი არ დაიფიზოვა, არამედ ყველა ამ ძალების კონსოლიდაცია მოახდინა ერთი საერთო მიზნის — ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და დასაცავად.

ერაყის რევოლუციის ეს დემოკრატიული ნაბიჯი განსახვავებს მას სხვა ანტიიმპერიალისტური რევოლუციებისაგან.

ამრიგად, განპირობებულ იქნა ერაყის რესპუბლიკის დემოკრატიული ხასიათი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მთავრობამ გააუქმა ძველი კონსტიტუცია. ახალი ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა სახელმწიფო აპარატის წმენდას, შემოღებულ იქნა ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს რწმენის, სიტყვის თავისუფლებას, ყველა ერის თანასწორუფლებიანობას.

მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტით პოლიტიკური პატიმრები განთავისუფლებულ იქნენ. სამშობლოდან გადახვეწილთ უკან დაბრუნების ნება მიეცათ, ისინი კი, ვინც სდევნიდა დემოკრატიულ და პროგრესულ ძალებს, წარსდგნენ სასამართლოს წინაშე.

ერაყის რევოლუციის დიდი მონაპოვარია სახალხო მასების პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლება. ნური საიდის შავი რეჟიმის ყაცთმოძულე კანონების გაუქმებამ პოლიტიკური მოღვაწეობის სარბიელზე გამოიყვანა მოსახლეობის ფართო ფენები.

ერაყის ფართო საზოგადოებრიობას რევოლუციის შედეგად სამუალება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკური აზრის სიმწიფეზე, ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებასა და დამოუკიდებლობისათვის ენერგიულ ბრძოლაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ „ამ დღეებში ერაყში შეიქმნა გაერთიანებული ეროვნული ფრონტი, რომელშიც შევიდა სამი პარტია — კომუნისტური, ნაციონალურ-დემოკრატიული (პარტიის ის ნაწილი, რომელიც არ დაემორჩილა დადგენილებას პარტიის მოქმედების შეწყვეტის შესახებ), ქურთების ერთიანი დემოკრატიული პარტია და აგრეთვე მთელი რიგი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — გლეხთა კავშირების საყოველთაო ფედერაცია, რომელიც 300 ათასამდე წევრს აერთიანებს, დემოკრატიული ახალგაზრდობისა და სტუდენტების კავშირები, პროფკავშირები.

მონარქიამ ცუდი მემკვიდრეობა დაუტოვა ახალგაზრდა რესპუბლიკას ეკონომიკის დარგში. ცნობილია, რომ ერაყის ტერიტორიაზე 1952 წლიდან ერაყის მთავრობას ყოველწლიურად უხდიდნენ მოგების 50 პროცენტს, ე. ი. 70-75 მილიონ დინარს (200 მილიონამდე დოლარი). მაგრამ ეს სახსრებიც მავნე ეკონომიური პოლიტიკის შედეგად უყაირათოდ იხარჯებოდა.

ახალი რესპუბლიკა შეუდგა სერიოზული ხარვეზის გამოსწორებას. ერაყის რესპუბლიკის პატრიოტულმა ძალებმა შეიგნეს, რომ ერაყის წინაშე იდგა ორი ძირითადი ამოცანა, რომელიც მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას: პირველი — შეიცვალოს განხორციელების სტადიაში მყოფი პროექტები ისეთნაირად, რომ ისინი უპასუხებდნენ ქვეყნის ინტერესებს და მეორე — შემუშავდეს მომავლის გეგმები, რომლებიც აუცილებლად გაითვალისწინებენ ინდუსტრიალიზაციას.

ამ ამოცანების სწორად გაგება და შეფასება ერაყის რესპუბლიკის ეროვნული მოვალეობა იყო. უკვე დაიწყო ან უახლოეს ხანში დაიწყება რამდენიმე ქარხნის მშენებლობა — მეტალურგიული (ლითონის ჯართის გადასადნობად), შაქრის, ქიმიური სასუქების, ქაღალდის ფაბრიკის და სხვ. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი მიზანია გაიზარდოს ნაციონალური შემოსავალი, შემცირდეს ბიუჯეტის დამოკიდებულება ნავთით მიღებულ შემოსავალზე. მთავრობამ უარი თქვა საგარეო ვაჭრობის მარტო დასავლეთის ბაზრისაკენ ორიენტაციაზე, რომელიც დამღუპველად მოქმედებდა ერაყის ეკონომიაზე.

ხალხის მატერიალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერაყის რესპუბლიკაში პირველ რიგში და სასწრაფოდ გატარდა პურისა და ხორცის ფასების შემცირება 20-დან 40 პროცენტამდე, გაზის ტარიფისა და ბინის ქირის შემცირება 20 პროცენტით, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვა.

ერაყში იმპერიალისტებისა და ფეოდალების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ნაციონალური მრეწველობის აღდგენა იყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნელად. სოფლის მე